ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31232653**
თარიღი: **22/09/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

21.09.2023 წელი

12:30 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებული პირველი ქუჩისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

5.სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი -„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებული პირველი ქუჩისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ. მან აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და მაჟორიტარი დეპუტატი შემოსულია ინიციატივით, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებულ პირველ ქუჩას მიენიჭოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელი. სამოტივაციო წერილის მიხედვით თამაზ ტყეშელაშვილი დაიბადა 1970 წლის 18 ივლისს სოფელ არჩეულში. იგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი კაცთმოყვარე ბუნებით. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფსასწავლებელში, იბრძოდა აფხაზეთში და მიუხედავად ბრძოლის დროს მიღებული ტრავმისა, ფრონტის ხაზი არ დაუტოვებია. გარდაიცვალა 1993 წლის 24 სექტემბერს, მაგრამ მისი მშობლიურ სოფელში გადმოსვენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2019 წლის 17 მარტს.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აქვს ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის სამოტივაციო წერილი ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში მე-2 ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების თაობაზე. წერილის მიხედვით ამბროსი აფხაზავა დაიბადა 1911 წელს სოფელ ნიგვზიანში, სადაც მიიღო საშუალო განათლება, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ 1984 წლამდე მასწავლებლად მუშაობდა ნიგვზიანის სკოლაში. მან დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეში, უანგაროდ ამზადებდა ყველა მსურველს, ხელს უწყობდა მათ სამომავლო განვითარებისკენ და კარიერული წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, რითაც სოფლის მოსახლეობის პატივისცემა დაიმსახურა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვილობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ. მან აღნიშნა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის და მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით შემოსულია სამოტივაციო წერილი, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვენ სოფელ წყალწმინდის მე-2 ქუჩისთვის (ბადრი თავაძის სახლიდან ხუბუკელაშვილების სახლის ჩათვლით) აფხაზეთის ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული პაატა პაპიძის სახელის მინიჭებას.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ. მან აღნიშნა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის და მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით შემოსულია სამოტივაციო წერილი, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვენ სოფელ წყალწმინდის მე-5 ქუჩისთვის (პეპელა მარგალიტაძის სახლიდან ჯემალ ჩხარტიშვილის სახლის ჩათვლით) აფხაზეთის ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ნიკა იმნაძის სახელის მინიჭებას.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში მდებარე მე-3 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ცხაურის მოწყობა. (დაახლოებით 20 მეტრი)

ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სუფსის ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, რომ ადამიანები, რომელთა საყანე ფართობები განადგურებული იქნა მიმდინარე წლის 8 სექტემბრის სტიქიის შედეგად, აუცილებელია მოხდეს მათი აღრიცხვა (სუბსიდირება). ამიტომ მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისია არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. მანვე აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში უნაგირასთან წლებია იტბორება ადგილობრივი მოსახლეობა. პრობლემას წარმოადგენს სანიღვრე არხი.

ფრაქციის წევრმა, გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ სუფსის ზონა პირველ რიგში არის პრიორიტეტული სამელიორაციო სამუშაოებისთვის. ამიტომ აუცილებელია გაიწმინდოს მიმღები დიდი არხი (არხები), რომელიც მთავარი გამტარია. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტში 20 წელზე მეტია არსებობს შესაძლო ,,მეწყრული კერები“ (დაახლოებით 200 კერა), რომლის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლების მხრიდან დროული რეაგირება არ მომხდარა. მისივე განმარტებით, ეს პირველ რიგში არის ცენტრალური ხელისუფლების ბრალეულობა, ვინაიდან მსგავსი მაშტაბის პრობლემას ადგილობრივი ხელისუფლება ვერ აღმოფხვრიდა არსებული ბიუჯეტიდან გამომდინარე. ამიტომ, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების პროირიტეტს უნდა წარმოადგენდეს მსგავსი პრობლემური საკითხის დაყენება, შემდგომში ცენტრალური ხელისუფლებიდან შესაბამისი რეაგირების მიზნით.

ფრაქციის წევრებმა აღნიშეს, რომ ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სახელით საკრებულოს თავმჯდომარესთან გაგზავნილია ოფიციალური წერილი და დარეგისტრირებულია ინიციატივა, რომელშიც მითითებულია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვისას გათვალისწინებული იქნას სტიქიური მოვლენების შედეგების პრევენციისათვის გარკვეული თანხის დამატება.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.09.2023 წელი

12:30 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	12 29	
2	გოჩა ჯანაშია	12 25	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	12 28	